

IO

სექტემბერი September

18:30

Yefim Bronfman / piano

Ludwig van Beethoven (1770 - 1827)
Piano Sonata No. 11 in B-flat Major, Op. 22
Allegro con brio
Adagio con molto espressione
Menuetto
Rondo: Allegretto

Claude Debussy (1862-1918)
Suite bergamasque, L. 75
Prélude
Menuet
Clair de lune
Passepied

Robert Schumann (1810-1856)
Arabeske in C Major, Op. 18
Frédéric Chopin (1810-1849)
Piano Sonata No. 3 in B Minor, Op. 58
Allegro maestoso
Scherzo: Molto vivace
Largo
Finale: Presto non tanto

ეფიმ ბრონფმანი / ფორტეპიანო

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770 - 1827)
საფორტეპიანო სონატა No. 11 სი ბემოლ მაჟორი, თხზ. 22
Allegro con brio
Adagio con molto espressione
Menuetto
Rondo: Allegretto

კლოდ დებიუსი (1862-1918)
„ბერგამასკული სიუიტა“
პრელუდია
მენუეტი
მთვარის შუქი
პასპიე

რობერტ შუმანი (1810-1856)
„არაბესკი“ დო მაჟორი, თხზ. 18

ფრედერიკ შოპენი (1810-1849)
საფორტეპიანო სონატა No. 3 სი მინორი, თხზ. 58
Allegro maestoso
Scherzo: Molto vivace
Largo
Finale: Presto non tanto



Scroll Down

ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი

საფორტეპიანო სონატა No. 11 სი ბემოლ მაჟორი, თხზ. 22

ბეთჰოვენმა საფორტეპიანო სონატა, თხზ. 22 1800 წელს შექმნა და ის ორი წლის შემდეგ გამოაქვეყნა. ნაწარმოების ქვესათაურში გამოტანილი "Grande Sonate" ბეთჰოვენთან ყოველთვის აღნიშნავს ისეთ სონატებს, რომლებშიც სამი ნაწილის ნაცვლად ოთხი გვხვდება. საინტერესოა, რომ გერმანელმა კომპოზიტორმა მხოლოდ კიდევ ერთ სონატაში გამოიყენა სი ბემოლ მაჟორი. ეს გახლდათ მისი Magnum Opus, "Hammerklavier" - კიდევ ერთი "Grande Sonate", თხზ. 106. გრაფ იოჰან გეორგ ფონ ბრაუნესადმი მიძღვნილი თხზ. 22 თავად ბეთჰოვენს საკუთარ ადრეულ სონატებს შორის საუკეთესოდ მიაჩნდა. "Die Sonate hat sich gewaschen", (სონატამ დაიბანა) განუცხადა მან თავის გამომცემელს. ამ გერმანული იდიომით ბეთჰოვენმა ის აღნიშნა, რომ სონატა ჭეშმარიტი გამარჯვებულია. მისი დიდი მოცულობისა და შთამბეჭდავი ვირტუოზულობის გამო, სი-ბემოლ მაჟორული სონატა მართლაც ჟღერს, როგორც გამარჯვებული სონატა.

კლოდ დებიუსი

„ბერგამასკული სიუიტა“

რამდენად გამარჯვებულად ჟღერდა „ბერგამასკული სიუიტა“ დებიუსისთვის, უცნობია... კომპოზიტორმა მასზე მუშაობა 1890 წელს დაიწყო, თუმცა არ გამოუქვეყნებია სიუიტა 1905 წლამდე, ვიდრე საფუძვლიანად არ გადაამუშავა ის. ოთხნაწილიანი სიუიტის სათაური მიგვანიშნებს ბერგამოზე - უძველეს იტალიურ ქალაქზე. ბერგამო ითვლება არლეკინის - იტალიური „კომედია დელ არტეს“ ტაკიმასხარას - სამშობლოდ. ბაროკოს ეპოქაში „კომედია დელ არტე“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა საფრანგეთში. ბაროკოს საცეკვაო სიუიტის მოდელზე შექმნილი „ბერგამასკული სიუიტის“ შთაგონების წყაროდ იქცა პოლ ვერლენის ლექსი "მთვარის შუქი". ლექსის პირველ სტროფში პოეტი ახსენებს ბერგამასკებს - ძველ იტალიურ ცეკვებს, დაკავშირებულთ ტაკიმასხარას სახესთან. აქვე აღწერილია ბალი, მისი შადრევნები, მოცეკვავეები და მთვარის შუქთან შერწყმული სიმღერები. სიუიტის ყველაზე ცნობილ ნაწილს დებიუსიმ სწორედ ამ ლექსის სათაური უწოდა. საოცრად პოეტური "მთვარის შუქი" გარშემორტყმულია ცეკვებით შთაგონებული სამი ნაწილით, რომლებშიც იგრძნობა კუპერენისა და რამოს სული. ბაროკოს ეპოქის მუსიკის დიდი ფრანგი ოსტატები განსაკუთრებით აღაფრთოვანებდნენ დებიუსის.

რობერტ შუმანი

„არაბესკი“ დო მაჟორი, თხზ. 18

რობერტ შუმანს, რომელმაც თავისი დო-მაჟორული „არაბესკი“ 1839 წელს, ვენაში შექმნა, განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა არაჩვეულებრივი ახალგაზრდა პიანისტი კლარა ვიკი... შუმანი არა მხოლოდ აღფრთოვანებული იყო ქალით, მას უყვარდა კლარა. თუმცა კლარას მამა სასტიკად ეწინააღმდეგებოდა მათ ურთიერთობას. იმედგაცრუებული შუმანი ლაიფციგიდან ვენაში გადასახლდა. სწორედ ვენაში გადაწყვიტა მან, როგორც გვამცნობს მისი წერილები, შეექმნა მუსიკა, რომელიც დაეხმარებოდა "აღზევებულიყო და ვენის ყველა ქალბატონის საყვარელი კომპოზიტორი გამხდარიყო". შედეგად, "უფრო მსუბუქ, ქალურ სტილში" დაიწერა ორი საფორტეპიანო ნაწარმოები - "ყვავილის პიესა" და "არაბესკი". „არაბესკის“ სათაური მიანიშნებს არაბული არქიტექტურით შთაგონებულ, მცენარეთა გამოსახულებებისა თუ გეომეტრიული ფიგურებისგან შედგენილ ორნამენტზე. „ეს სათაური ყოვლისმთქმელია“, - წერდა შუმანი. „განა ჩემი ბრალია, რომ ღეროები და ფოთლები ესოდენ მყიფე და ნაზია?“ "არაბესკის" მუსიკაც ყოვლისმთქმელია... და განა ვინმეს ბრალია, რომ სიყვარული ესოდენ მყიფე და ნაზია?

ფრედერიკ შოპენი

საფორტეპიანო სონატა No. 3 სი მინორი, თხზ. 58

1844 წლის ზაფხულს ფრედერიკ შოპენი, უკვე ტრადიციულად, ჟორჟ სანდის მამულში - ნოანში ატარებდა. სწორედ ამ დროს შეიქმნა მისი მესამე საფორტეპიანო სონატა. 1838 წლიდან მოყოლებული, შოპენი და სანდი ცხრა წლის განმავლობაში პარიზის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სასიყვარულო წყვილს წარმოადგენდნენ. 1844 წლის მაისში შოპენმა მამის გარდაცვალების შესახებ შეიტყო. ამ ამბავმა იმდენად დათრგუნა კომპოზიტორი, რომელიც, ყველაფერთან ერთად, ტუბერკულოზს ებრძოდა, რომ გადაწყდა, მის სანუგეშებლად პოლონეთიდან 14 წლის უნახავი და, ლუდვიკა ჩამოსულიყო. ამ სასიხარულო ამბის გაგების ფონზე იწყებს შოპენი სონატაზე მუშაობას. მუშობა გრძელდება უკვე დისა და სიძის ნოანში სამკვირიანი ვიზიტის ფონზე. 1844 წლის ზაფხული შოპენისთვის ნოანში გატარებულ უკანასკნელ ბედნიერ ხანად იქცა, რაც აისახა კიდევ სონატაში. მიუხედავად მინორული ტონალობისა, მუსიკა გაჭერებულია ნათელი ფერებით, განსაკუთრებით მის წინამორბედ, მეორე, "სამგლოვიარო მარშიან" სონატასთან შედარებით. შემთხვევითი არაა, რომ ეს შოპენის ერთადერთი სონატაა, რომელიც მაჟორში მთავრდება. სონატის დასრულება დაემთხვა შოპენისა და ჟორჟ სანდის ურთიერთობის დაძაბვას. 1847 წელს ისინი დაშორდნენ, რამაც მძიმედ იმოქმედა შოპენზე. ორი წლის შემდეგ ის გარდაიცვალა, სი-მინორული სონატა კი აღმოჩნდა მისი უკანასკნელი მასშტაბური საფორტეპიანო ქმნილება... რაც შეეხება სი მინორს. შოპენმა ჟანრისთვის უჩვეულო ტონალობა შეარჩია. 1844 წლამდე რატომღაც არც ერთ მნიშვნელოვან კომპოზიტორს არ შეუქმნია კლასიკური საფორტეპიანო სონატა ამ ტონალობაში. მხოლოდ 1852 წელს დაიწყებს ფერენც ლისტი თავის შედევრზე - სი-მინორულ საფორტეპიანო სონატაზე მუშაობას... ლისტი, რომელსაც შოპენის სი-მინორული სონატა არ მოეწონა და არასოდეს დაუკრავს ის.

ამ დროს საქართველოში...

ქართული პროფესიული მუსიკის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული ნიმუშები საფორტეპიანო ჟანრში შეიქმნა. დაწერა ისინი ქართველმა პიანისტმა, ქართული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებელმა ალოიზ მიზანდარმა (1838-1912). პეტერბურგში სწავლისას და ევროპაში მოგზაურობისას მან არაერთ დიდ კომპოზიტორთან დაამყარა ახლო ურთიერთობა; მათ შორის იყვნენ ჩაიკოვსკი, რუბინშტეინი, ბალაკირევი, ლისტი, როსინი, ბრამსი, გუნო და ვერდი. თუმცა განსაკუთრებით მიზანდარს შოპენი უყვარდა. ის ხშირად ასრულებდა მის ნაწარმოებებს, ასწავლიდა მათ თავის სტუდენტებს. უფრო მეტიც, მიზანდარის საფორტეპიანო ნაწარმოებებზე აშკარად დიდი ზეგავლენა მოახდინა შოპენმა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, ფრედერიკ შოპენს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიაში

Ludwig van Beethoven

Piano Sonata No. 11 in B-flat Major, Op. 22

Beethoven composed Piano Sonata Op. 22 in 1800 and published it two years later as "Grande Sonate" – the title he used to designate sonatas with four movements instead of three. Interestingly, only one other sonata was composed by Beethoven in B-flat Major – his magnum opus "Hammerklavier" – another "Grande Sonate", Op. 106. Dedicated to Count Johann Georg von Browne, Op. 22 was regarded by Beethoven himself as the best of his early sonatas. "Die Sonate hat sich gewaschen," (the Sonata has washed itself) declared he to his publisher using the German idiom indicating that the Sonata was a true winner. Due to its grand scope and impressive virtuosity the B-flat Major Sonata truly sounds as the winner that "has washed itself".

Claude Debussy Suite bergamasque, L. 75

Suite bergamasque might not “have washed itself” for Debussy... at least not immediately. He began composing his piano suite around 1890, though it was not published until 1905, after being significantly revised. The title of the four-movement suite alludes to Bergamo – the Italian city with ancient roots. Bergamo is considered to be the home of Harlequin, the buffoon of the Italian commedia dell’arte which became a very popular theatrical genre in France during the Baroque. The piece, modelled on the Baroque dance suite, was inspired by a poem "Clair de lune" by Paul Verlaine, who in the opening stanza refers to bergamasks – ancient Italian dances associated with buffoonery. The most famous movement of the suite bears the same name as Verlaine’s poem that describes a garden, its fountains, promenading dancers and songs blended with the light of the moon. The poetic "Clair de lune" is surrounded by three dance-inspired movements reflecting the spirit and forms of Couperin and Rameau – great French masters of Baroque music admired by Debussy.

Robert Schumann (1810-1856)

Arabeske in C Major, Op. 18

Robert Schumann, composing his Arabesque in C Major in 1839, in Vienna, admired an extraordinary young pianist Clara Wieck... He not only admired, but loved her, though her father vehemently opposed their relationship. Having left her in Leipzig, depressed and frustrated, Schumann decided to compose music that according to his letters would help him "rise up and become the favourite composer of all the ladies of Vienna." As a result, he composed two piano pieces in a "lighter, more feminine style" designated by such subtle titles as “Flower Piece” and “Arabesque.” The title of Arabesque alludes to ornamental design consisting of intertwined flowing lines and floral outlines creating complex patterns inspired by Arab architecture. “The titles say all there is to know,” wrote Schumann, “and I am quite blameless that the stems and fronds are so frail and delicate.” The music of “Arabesque” - “little rondo” - also says all there is to know... and we all might be quite blameless that love is so frail and delicate...

Frédéric Chopin

Piano Sonata No. 3 in B Minor, Op. 58

In 1844, Chopin spent the summer in Nohant, the estate owned by George Sand. Since 1838, they had been one of the most famous couples in Paris. In May 1844, Chopin was devastated to learn of his father's death. Chopin was suffering from tuberculosis at the time and to comfort him his sister Ludwika, whom Chopin had not seen for 14 years, visited him. That was when Chopin, excited by the news, began working on his Third Piano Sonata. He continued composing during the three-week visit by his sister and her husband in Nohant. Apparently, he was quite happy in those days and this mood is reflected in the Sonata. Despite its minor key, the Sonata is saturated with bright colours, especially when compared to its predecessor, the Second Sonata with "Funeral March", and ends in a major key. In 1847, Chopin and Sand separated and this severely affected the composer. Two years later, he died and the B Minor Sonata turned out to be his last large-scale piano piece. As for B Minor... Chopin chose quite an unusual tonality for the work. Until 1844, no famous composer had ever composed a piano sonata in this key. Only in 1852 did Franz Liszt begin to work on his masterpiece - the B Minor Piano Sonata... Interestingly enough, he did not like Chopin's B Minor Sonata and never played it.

Meanwhile in Georgia

The very first examples of professional Georgian music were composed for solo piano by the first Georgian pianist, the founder of the Georgian piano school, Alois Mizandari (1838-1912). While studying in St. Petersburg and traveling through Europe he established close relations with many great composers of the time, such as Tchaikovsky, Rubinstein, Balakirev, Liszt, Rossini, Brahms, Gounod and Verdi, he was particularly fond of Chopin. He often played his works and taught them to his students. Furthermore, his piano pieces were clearly influenced by Chopin. Thus, Frédéric Chopin could be considered to a certain extent as a composer of the most significant importance for the history of Georgian art music.